

## საღამოს გასეირნება

... მწუხრი ეშვება...

მეუფე მზეო, წითელლოყება დღის მბრძანებლო,  
შენი შესებით ჩემი კანი თვალს გამოიბამს,  
ხერხემალიც კი ხედვის ნერვად გადაიქცევა  
და ეს სხეული თრთის ნახევრად დაბრმავებული  
იმ ოქროსფერით, რომ იღვრება თავლისმომჭრელად.  
გუმზერ ამ ქალაქს შენმა შუქმა როგორ გარდაქმნა  
და ცხადად ვხედავ იმ ძველ ქალაქს აქ რომ სუფევდა,  
როგორ ცოცხლდება და იღვიძებს ისტორიიდან.

წყლის პირს მივეყვებით. მებადურები თევზჭერისთვის  
ემზადებიან: ძრავები უკვე გუგუნებენ  
და ლამფები კიაფობენ ნავის კიჩოზე.  
მთელი ქალაქი სასეირნოდ გამოფენილა,  
ახალგაზრდები, ოჯახები, შეყვარებულნი,  
ღია კაფეში ჩამომსხდარან ხანდაზმულებიც  
და გასცქერიან შებინდებულ გორაკთა წყებას  
ქალაქს ერთგული მცველებივით გარს რომ ეკვრიან.

უცხო ციაგი ეფინება ყურეს, გორაკებს  
მეც ვგრძნობ ანაზღად მის შესებას, როგორც ქალისას,  
ქალისას გვერდზე რომ მომყვება მზით გარუჯული,  
სიცილით მწიფე ზეთისხილის, კუპრივით თმებით.  
ამ უცხო ნათელს ვეწაფები, როგორც მუსიკას,  
და როგორც ღვინოს ისე შევსვამ სულმოუთქმელად,  
როგორც ამ ქალის წინაპრები ეწაფებოდნენ

მას არაერთი საუკუნის განმავლობაში.

ქალაქო, ქალის სახელია ელეფთერია,  
ეს მის თვალებში არეკლილა ყველა ჭრილობა  
და ახლა, ამ წამს, როს სინათლე, როგორც სიმღერა  
ან, როგორც სიტყვა დასთამაშებს სახეზე ფრთხილად.  
ყველაზე მეტად მას ეკუთვნის აქ სეირნობა,  
როგორც იარაღს, როგორც გუშავს შენი ნათელის,  
უძირო ჭაში საკუთარი მოწაფეების  
რომ ინახავდა აცეკვებულ თავისუფლებას.

საღამო უცხო და ნათელი ათასი წლისა  
ვით მაგალობელი ტლკბილხმიანი, ქალივით ტურფა,  
როგორც წყალობა დაჰფენია უძველეს ქალაქს.  
ვით არ ვადიდო ამ ნათელის ძალმოსილებას,  
ის, რაც სამყაროს ფორმას აძლევს და ასულდგმულებს.  
შენს ყმად მიგუფე, ანდა შენი ქალაქის მკვიდრად,  
მსულს სრულად შეგსვა, რომ სხეულის ყველა უჯრედი  
აივსოს შენი სინათლით და თავისუფლებით.

---

რიჩარდ ბერენგარტენ  
Richard Berengarten

თარგმანი მანანა გელაშვილის  
Translated by Manana Gelasvhvili

---

**interLitQ.org**